

*საგამოცდო საკითხები/ქვესაკითხები - დიპლომირებული სტომატოლოგის  
პროგრამის სტუდენტებისათვის*

1. იმუნური სისტემის ცენტრალური ორგანოები: ძვლის ტვინის, თიმუსის ფუნქცია.
2. იმუნური სისტემის პერიფერიული ორგანოები: ლიმფური კვანძები, ელენთა, კუჭნაწლავის ტრაქტის ლიმფური ფოლიკულები.
3. იმუნური სისტემის უჯრედები:  
ლიმფოციტები - ლიმფოციტების პოპულაციები და სუბპოპულაციები;  
ფაგოციტები - მაკროფაგები და მონოციტები, ნეიტროფილები, ეოზინოფილები;  
ბაზოფილები და პოხიერი უჯრედები.
4. იმუნიტეტის მექანიზმები.
5. ჰუმორული იმუნიტეტი, პირველადი იმუნური პასუხი, მეორადი იმუნური პასუხი.
6. იმუნოგლობულინების სტრუქტურა.
7. იმუნოგლობულინების კლასები: IgG, IgM, IgA, IgD, IgE.
8. უჯრედული იმუნიტეტი, ჰისტოთავსებადობის მთავარი კომპლექსი, HLA.
9. ფაგოციტები, მოცირკულირე და ქსოვილოვანი; ქემოტაქსისი, ოპსონიზაცია, ფაგოციტოზი.
10. კომპლემენტი. კომპლემენტის აქტივაციის კლასიკური და ალტერნატიული გზები.
11. მემბრანის შემტევი კომპლექსის წარმოქმნა.
12. ანტიგენები. სრულფასოვანი ანტიგენები, ჰაფტენები. ორგანიზმში მოხვედრის გზები.
13. ალერგიული რეაქციების კლასიფიკაცია.
14. დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქციები.
15. ციტოტოქსიკური ალერგიული რეაქციები.
16. იმუნოკომპლექსური ალერგიული რეაქციები.
17. შენელებული ტიპის ალერგიული რეაქციები.
18. პოხიერი უჯრედები. მედიატორების გამოთავისუფლების მექანიზმები.
19. ანთების მედიატორების როლი დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქციის განვითარებაში.
20. პოხიერი უჯრედების გრანულების მედიატორები. ჰისტამინი, ფერმენტები.
21. პროტეოგლიკანები, ქემოტაქსისის ფაქტორები.
22. სინთეზირებადი მედიატორები პოხიერი უჯრედების გააქტივებისას. არაქილონმჟავას მეტაბოლიზმი. პროსტაგლანდინები, ლეიკოტრიენები, თრომბოციტების აქტივაციის ფაქტორი.
23. ანთების სხვა მედიატორები: ადენოზინი, ბრადიკინინი, სეროტონინი.
24. დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქციებით განპირობებული დაავადებების დიაგნოსტიკა.
25. ალერგოლოგიური ანამნეზი.

26. ფიზიკალური გამოკვლევები.
27. ლაბორატორიული გამოკვლევები. სისხლის საერთო ანალიზი. ეოზინოფილია. ეოზინოფილები ნაცხში.
28. სისხლის შრატში IgE-ს საერთო დონე.
29. კანის სინჯები, ჩვენება და ალერგენების არჩევა.
30. კანის სინჯების ჩატარების ჩვენებები და უკუჩვენებები. ჩატარების ტექნიკა. ჩხვლეტითი (პრიკ) ტესტები. კანშიდა ტესტები.
31. კანის სინჯების ჩატარებისას მიღებული შედეგების შეფასება.
32. პროვოკაციული სინჯები. ძირითადი უპირატესობა. ძირითადი ნაკლი.
33. სპეციფიკური IgE-ს განსაზღვრის მეთოდები.
34. გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა.
35. რენტგენოლოგიური გამოკვლევა ალერგოლოგიურ პრაქტიკაში.
36. ატოპიური დაავადებები.
37. საინჰალაციო ალერგენები. მათი წარმოშობა და ნაწილაკების ზომები.
38. მცენარეების ყვავილის მტვრის ალერგენები. ამბროზია. მარცვლოვანები. ხემცენარეები.
39. სოკოვანი ალერგენები.
40. ეპიდერმული ალერგენები. კატისა და ძაღლის ეპიდერმისი.
41. ოთახის მტვერი. მიკროტკიპები.
42. მწერების ნაწილაკები. ტარაკნები.
43. გარე გარემოს უარყოფითი ფაქტორები. კლიმატური პირობები (მაღალი ტენიანობის გავლენა შენობისშიდა ალერგენებზე).
44. ჰაერის დაბინძურება:  
სმოგი.  
ფოტოქიმიური სმოგი.  
ჰაერის დაბინძურება შენობებში. თამბაქოს კვამლი. აქროლადი ნივთიერებები.
45. ვირუსები და ბაქტერიები როგორც ალერგენები.
46. ალერგიული დაავადებების მკურნალობის ძირითადი პრინციპები. ალერგენტთან კონტაქტის შეწყვეტა.
47. პაციენტთან ბინაზე ვიზიტი საცხოვრებელი გარემოს დათვალიერების მიზნით და სავარაუდო ალერგენების გამოსავლენად.
48. საცხოვრებელი გარემოს შეცვლა ალერგენების ელიმინაციის მიზნით.
49. ალერგიული დაავადებების მედიკამენტური მკურნალობა.
50. H1- და H2-ბლოკერები.
51. H1-ბლოკერების ფარმაკოკინეტიკა და ფარმაკოდინამიკა.
52. H1-ბლოკერების დანიშვნის ჩვენებები.
53. H1-ბლოკერების გვერდითი ეფექტები.
54. ადრენოსტიმულატორები და ადრენობლოკატორები.
55. ალფადრენოსტიმულატორები. ჩვენებები. დოზები და შეყვანის გზები. გვერდითი ეფექტები.

56. ბეტადრენოსტიმულატორები. ფარმაკოკინეტიკა და ფარმაკოდინამიკა.
57. კატექოლამინები ალერგოლოგიურ პრაქტიკაში.
58. თეოფილინი.
59. M-ქოლინობლოკატორები ალერგოლოგიურ პრაქტიკაში.
60. კრომონები. გამოყენების ჩვენებები.
61. კორტიკოსტეროიდები. ქიმიური აგებულება. ფარმაკოდინამიკა. სეკრეცია, ტრანსპორტი, მეტაბოლიზმი და გამოყოფა. კორტიკოსტეროიდების სისტემური გამოყენების ჩვენებები. კორტიკოსტეროიდების დოზები და გვერდითი ეფექტები.
62. ამოსახველებელი საშუალებები და მათი მოქმედების მექანიზმები.
63. დესენსიბილიზაციის არსი (სპეციფიკური იმუნოთერაპია ალერგოლოგიურ პრაქტიკაში). დესენსიბილიზაციის ჩვენებები და ეფექტურობა. დესენსიბილიზაციის სქემები. დოზების გაზრდა. შემანარჩუნებელი დოზები.
64. პაციენტთა განათლების როლი ალერგიულ დაავადებებზე უკეთესი კონტროლის თვალსაზრისით.
65. ალერგიული რინიტი. სეზონური ალერგიული რინიტი. სრულწლიანი ალერგიული რინიტი. პათოგენეზი. კლინიკური სურათი. დიაგნოსტიკა.
66. ვაზომოტორული რინიტი.
67. ეოზინოფილური არაალერგიული რინიტი.
68. რინიტის სხვა ფორმები (ინფექციური, მედიკამენტური, რინიტი ენდოკრინული დაავადებებისას).
69. ალერგიული კონიუნქტივიტი. პათოგენეზი. კლინიკა. დიაგნოსტიკა. მკურნალობა.
70. ბრონქული ასთმა. დეფინიცია.
71. ბრონქული ასთმის პათოგენეზი.
72. სასუნთქი გზების ობსტრუქციის გამომწვევი პათოლოგიური ცვლილებები.
73. ბრონქული ასთმით დაავადებული პაციენტის გასინჯვა. ბრონქული ასთმით დაავადებული პაციენტის ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები. ბრონქული ასთმით დაავადებული პაციენტის გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა. პროვოკაციული სინჯები ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტებში.
74. ბრონქული ასთმის გართულებები: პნევმოთორაქსი და პნევმომედიასტინუმი. ბრონქოექტაზიები. გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ გართულებები ბრონქული ასთმის დროს. ასთმური სტატუსი. სუნთქვის უკმარისობა.

75. დიფერენციული დიაგნოსტიკა ბრონქული ასთმის შეტევის დროს.
76. დიფერენციული დიაგნოსტიკა ბრონქული ასთმის შეტევათა შორის პერიოდში.
77. ბრონქული ასთმის (ბა) მკურნალობა:
78. არამედიკამენტური მკურნალობა. პაციენტის განათლება. ბა-ის შეტევების გამომწვევი ფაქტორების მოცილება. დესენსიბილიზაცია.
79. ბა-ის მედიკამენტური მკურნალობა. ბრონქოდილატატორები. მეთილქსანტინები. M-ქოლინობლოკატორები ბა-ის მკურნალობისას. კრომოლინი. ნედოკრომილი. კორტიკოსტეროიდები ბა-ის მკურნალობისას. ჩვენებები, შეყვანის გზები და დოზირება (თერაპიული სქემები). გვერდითი ეფექტები. ბა-ის მართვის პრინციპები. ანტი-IgE თერაპია. ომალიზუმაბი.
80. ანაფილაქსიური რეაქციები. ანაფილაქსიის ეტიოლოგია.
81. ანაფილაქსიის პათოგენეზი.
82. ანაფილაქსიის კლინიკური სურათი.
83. ანაფილაქსიის დიაგნოსტიკა.
84. ანაფილაქსიის დიფერენციული დიაგნოსტიკა.
85. ანაფილაქსიის მკურნალობა.
86. ანაფილაქსიური რეაქციების პროფილაქტიკა.
87. ანაფილაქტოიდური რეაქციები.
88. მედიკამენტური მკურნალობების გართულებების (გვერდითი რეაქციების) კლასიფიკაცია (A და B ტიპის რეაქციები).
89. მედიკამენტების აუტანლობა.
90. იდიოსინკრაზია.
91. მედიკამენტური ალერგია.
92. მედიკამენტური ალერგიის გამოვლინებები.
93. მედიკამენტური ალერგიის იმუნოლოგიური კლასიფიკაცია.
94. მედიკამენტური ალერგიის კლინიკური კლასიფიკაცია.
95. განსხვავება მედიკამენტურ ალერგიასა და მედიკამენტური საშუალებების ტოქსიკურ ზემოქმედებას შორის.
96. მედიკამენტური ალერგიის დიაგნოსტიკა. ანამნეზური მონაცემები.
97. კანის სინჯები, მედიკამენტების მიმართ დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქციების დროს.
98. კანის სინჯები, მედიკამენტების მიმართ დაყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქციების დროს.
99. აპლიკაციური სინჯები მედიკამენტური ალერგიის დროს.
100. მედიკამენტური ალერგიის პროფილაქტიკა.
101. მედიკამენტური ალერგიის მკურნალობა.
102. მედიკამენტური მკურნალობის გართულებების ცალკეული შემთხვევები. ალერგია პენიცილინებისადმი.

103. ასპირინის აუტანლობა.
104. ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებების გვერდითი ეფექტები.
105. ანაფილაქსიური რეაქციები ზოგადი ანესთეზიის დროს.